საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 6 18 00987194

07/08/2018

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსის
ნუგზარ კანდელაკის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 22 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (Education, Audiovisual and Culture Executive Agency - EACEA) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (N2017-2269/001-002) საფუძველზე, მიმდინარე წელს იწყება პროექტის „საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალურ დონეზე“ განხორციელება.

პროექტით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს მიერ პირველი ტრანშით გადმორიცხულია 340,359.11 ლარი (115,262.66 ევრო).

გაცნობებთ, რომ პროექტის ამ ეტაპზე, დაგეგმილია პარტნიორი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მოწვევა ლიტვიდან და პოლონეთიდან, პირველი საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარების მიზნით. შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაწევა გათვალისწინებულია გრანტის ფარგლებში. მოწვეულ სტუმრებს უმასპინძლებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბატონი თეიმურაზ მურღულია.

აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისთვის, მიმდინარე წლის 14 – 16 აგვისტოსთვის გვესაჭიროება შემდეგი მომსახურების შესყიდვა:

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

- სტუმრებისთვის საერთაშორისო ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა, აღნიშნულ მომსახურებას გაგვიწევს კომპანია "Best Travel" მომსახურების ფასი 2249 ლარი:

- თვითმფრინავის ბილეთი ვარშავა-თბილისი-ვარშავას მიმართულებით 1 (ერთი) ადამიანისთვის;
- თვითმფრინავის ბილეთი რიგა-თბილისი-რიგა მიმართულებით 1 (ერთი) ადამიანისთვის;

- სტუმრებისთვის თბილისში სასტუმრო მომსახურების შესყიდვა 2 ღამით 2 ადამიანისთვის. სტუმრები უნდა განთავსდნენ ინდივიდუალურ ნომრებში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საუზმით და აეროპორტის ტრანსფერით ჩამოსვლის და წასვლის დღეს. მომსახურების ღირებულება - 1416 ლარი;

- კვებითი მომსახურების შესყიდვა 3 ადამიანზე, 2 ვახშამი და 2 საქმიანი სადილი რესტორანში. ვახშამი გაიმართება რესტორან "კოპალა"-ში 14 აგვისტოს, ხოლო 15 აგვისტოს რესტორან "ჩელა ფუნიკულიორ"-ში. საქმიანი სადილი გაიმართება 14 აგვისტოს რესტორან "სტრადაში"-ში და 15 აგვისტოს რესტორან "ეკო გარდენ"-ში. კვებით მომსახურებაზე გათვალისწინებულია 577 ლარი.

გთხოვთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში დაავალოთ სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10[1] მუხლის შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებების შესყიდვა, ხოლო სამინისტროს ადმინისტრაციის საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამსახურს სტუმრების მიღებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება (შეხვედრის ორგანიზება ბატონ თეიმურაზ მურღულიასთან და სტუმრების შიდა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა).

მოხსენებით ბარათს თან ერთვის შესასყიდი მომსახურებების განფასება და ბაზრის კვლევის შედეგები.

დანართი: 5 დოკუმენტი.

**პატივისცემით,**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო / ახალგაზრდობის პოლიტიკის
მართვის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კანდელაკი ნუგზარ

ნ. კანდელაკი